

ეთიკური ლიდერობა და დასაქმებულთა სამსახურით კმაყოფილება  
საქართველოს კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების  
მაგალითზე

მარიამ გელაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების  
ადმინისტრირების  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მათა ბიწაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

## განაცხადი

წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ ისეთ მასალას, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ გელაშვილი

25/06/2019

## აბსტრაქტი

ლიდერი მნიშვნელოვან როლს თამაშობს დასაქმებულების მიერ სამსახურით კმაყოფილებაში. ეთიკური ლიდერობა და სამსახურით კმაყოფილება ორგანიზაციებში კვლევის საკითხი მრავალჯერ გამხდარა, თუმცა მოცემული საკითხის მიმართ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ნაკლებ ინტერესს იჩენენ ხოლმე. შესაბამისად, არ გვაქვს საკმარისი ინფორმაცია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული განათლების ადმინისტრატორების ეთიკურ ლიდერობასა და სამსახურით კმაყოფილებაზე. უფრო მეტიც, აღნიშნულ საკითხზე საქართველოში კვლევა არ ჩატარებულა, ამიტომ აქტუალურია მივიღოთ ინფორმაცია განათლების ადმინისტრატორების სამსახურით კმაყოფილებაზე და ეთიკურ ლიდერობაზე. მოცემული ნაშრომის მთავარი მიზანია გამოიკვლიოს ა) ეთიკური ლიდერის გავლენა სამსახურით კმაყოფილებაზე და ბ) სხვადასხვა ასპექტების გავლენა სამსახურით საერთო კმაყოფილებაზე.

ორ კერძო უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევის საკითხს წარმოადგენდა ეთიკური ლიდერობა და ადმინისტრაციული პერსონალის სამსახურით კმაყოფილება. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ჯამში 17-მა დასაქმებულმა და ორმა ლიდერმა. კვლევა ჩატარდა შერეული მეთოდით. რაოდენობრივი კითხვარის მეშვეობით დადგინდა ლიდერის ეთიკურობის დონე, სამსახურით კმაყოფილება და ეთიკური ლიდერის ტიპი. ინტერვიუები ჩატარდა უნივერსიტეტების ლიდერებთან (დეკანებთან), რომელთანაც დიალოგის რეჟიმში გადავამოწმეთ მათ მიერ ეთიკური ლიდერობის აღქმა და ტიპი.

დადგინდა, რომ კრიტიკის ეთიკის წარმომადგენელი ლიდერი თანამშრომლების მხრიდან ნაკლებად ეთიკურ ლიდერად ფასდება და შესაბამისად ნაკლებ კმაყოფილებას გამოხატავენ სამსახურის მიმართ, ხოლო ზრუნვის ეთიკის წარმომადგენელი საშუალოდ ეთიკურ პიროვნებად შეფასდა, რომლის დასაქმებულებიც შედარებით მეტად კმაყოფილები არიან სამსახურით. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ამ პროპორციული სხვაობისა ორივე მათგანი საშუალო კმაყოფილების ჯგუფში ხვდება.

კმაყოფილების სხვადასხვა ასპექტზე საუბრისას, მნიშვნელოვანია გამოვყოთ დაწინაურების შესაძლებლობა, რომელიც კვლევის მიხედვით ყველაზე ძლიერ მოქმედი ფაქტორი აღმოჩნდა სამსახურით საერთო კმაყოფილებაზე.

კვლევა მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ დაგვეხმარა შეგვეფასებინა საქართველოს კერძო უნივერსიტეტებში არსებული რეალობა და შეგვეთავაზებინა რეკომენდაციები ყურადღება გაემახვილებინათ ისეთ ასპექტებზე, რომლებიც გაზრდიდა დასაქმებულების შრომით კმაყოფილებას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ეთიკური ლიდერობა, სამსახურით კმაყოფილება, დასაქმებულები, ლიდერი, უნივერსიტეტი #1, უნივერსიტეტი #2

## **Abstract**

The leader plays an important role in the satisfaction of the employees. Ethical Leadership and Job Satisfaction has always been the issue of research in organizations for many times, but higher education institutions show less interest toward this issue. Consequently, we do not have sufficient information on the ethical leadership and job satisfaction of education administrators employed in higher education institutions. Moreover, research on this topic has not been conducted in Georgia, so it is important to get information about the satisfaction and ethical leadership of the education administrators. The main purpose of this work is to examine a) the influence of ethical leader on job satisfaction and b) the impact of various aspects of job satisfaction on overall satisfaction.

The topic of the study of two private universities was about ethical leadership and job satisfaction among administrative staff. In total, 17 employee and 2 leaders participated in the survey. The survey was conducted with a mixed method. Quantitative questionnaire was used to determine the level of ethics of the leader, level of job satisfaction and the type of ethical leader. Interviews were conducted with the leaders of the universities (with the deans,) with whom we reviewed how ethical they see themselves and what type of leaders they are.

It has been shown that the representative leader of ethics of critic is rated as less ethical leader and therefore less job satisfaction was shown from his/her employees, while the representative of the ethics of care is a moderate ethical person whose employees are more satisfied with the job. It should be noted that despite this proportional difference among satisfaction both of them are in the middle satisfaction group.

While talking about different aspects of satisfaction, it is important to identify the possibility of promotion, which is the most influential factor on job satisfaction in this research.

The research is important in helping us evaluate the reality in private universities of Georgia and offer recommendations to focus on the aspects that would increase employee satisfaction.